

იოსებ სიბოშვილი

"მღუდკლთა შენთა შეიმოსონ სიძაწთლე,
და წმიდანი შენნი იხაწებლენ" (ფსალ. 131.9)



წამღვილი მიძღვანი
დეკანოზი შალვა (შუბითაძე)
(გახსენება)



იოსებ სიბოშვილი: ჭკვიანი კაცის ნათქვამია:

„თუ ჩვენ ქრისტეს მეგობრები ვიქნებით, ქრისტე ისე აღადგენს საქართველოს, როგორც ლაზარე აღადგინა“. ჩვენი უბედურება კი ის არის, რომ ქართველთა უმრავლესობა ასიმილირებულია. იბერიულ-კავკასიური ანუ ღვთიური მოდგმა შეერწყა ინდო-ევროპულ ანუ ეშმაკისეულ-წუთისოფლის მოდგმას, რამაც ჩვენში

სინერგიის დონე ნულამდე დაიყვანა და ადამიანი მადლს განაშორა. ხალხში ნიჰილიზმმა დაისადგურა, რაც ლათინურიდან თარგმანით არარას ნიშნავს, ხოლო ჩვენს რეალობაში მას შესანიშნავი ქართული გამონათქვამი მიესადაგება: „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი“. ინდო-ევროპული მოდგმა ანუ სახარებისეული ღვარძლი, რომელიც დიდი ხანია ჩაინერგა ჩვენს ჯიშ-ჯილაგში, ქართველი კაცის მიერ ჩვენს სამშობლოში მათი მისამართით გაკეთებულ სიკეთეს ბოროტებით გვიხდინან. ამიტომაც ჩვენზე აღსრულდა პავლე მოციქულის სიტყვები: „რამეთუ ყოველნი თავთა თვისთა ეძიებენ და არა ქრისტე იესუსისა“ (ფილიპელთა 2.21)

ასე რომ ქართველი, მასში დამკვიდრებული ნიჰილიზმის გამო, დასცილდა ქრისტეს გზას და შესაბამისად ვერც ჩვენი დიდი წინაპრის ვახტანგ გორგასლის გამარჯვების ფორმულას გაითავისებს - „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“.

სულგანათლებული მამა შალვა თითქმის ყველა ქადაგების დროს გვიმეორებდა სახარებისეულ სიბრძნეს: „...კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია“ (ლუკა 18.27). მხოლოდ ლოცვა და კეთილ საქმეთა კეთება გადაგვარჩენს“.

სიყვარულის შემოქმედო,
ანდამატის ძალის მქონე,
წოგორ მინდა ჩაგეხუტო
თეთრი შურით დაგემონე
ირგვლივ შვილებს ვინ დაგიღივებს,
ქალებსა და მინდორ-ველებს,
აღმაფრენის ივრის ქალავ
ლოცვა მარად გაგანათლებს,
ამაღლდი და გაიხარე.

იალნოს მთიდან სხივი გაბრწყინდა
სამგორის ველი ზეცად აზიდა,
კვლავ გაიღევა ვახტანგის ხმაღმა,
ერის დიდებას მცველად დაუდგა.
ირგვლივ განათდა გარეჯის მთები,
ზეციდან მოსჩანს უცხო რამ ძალა,
უფლის დიდებით მოსვლას ნატრულობს
ივრის მშვენება-მზე-**სართიქალა.**



ნამდვილი მოძღვარი

ცნობილია, რომ მასონების ისტორია დასაბამს იღებს სოლომონის მეფობის დროიდან, როცა თავისუფალი ქვისმთლელები დიდოსტატადონირამის ხელმძღვანელობით, იერუსალიმის ტაძარს აშენებდნენ. მასონთა ერთ-ერთი წიგნიც სწორედ “ადონირამის ლეგენდაა”, საიდანაც ვიგებთ, რომ მასონები თავს აღიარებენ კაენის შთამომავლებად და სოლომონის, მისი ღმერთისა და მართალი მორწმუნეების მტრებად. თუმცა მასონების ეშმაკის ეკლესიის პირველ წინამორბედად, სულიერად თუ განვსჯით, რა თქმა უნდა, ბაბილონის გოდოლის მშენებელნი უნდა მივიჩნიოთ, რომელთაც დაივინყეს ღმერთი და მთელი თავიანთი ძალისხმევა ამქვეყნიური კეთილდღეობისაკენ მიმართეს და ამ დიდ კოშკსაც - ბაბილონის გოდოლს, სწორედ თავიანთი ერთობის იმჟამინდელი კაცობრიობის სიმბოლოდ და სანინდრად აგებდნენ, რათა არ გაბნეულიყვნენ, ერთმანეთი არ დაეკარგათ და ერთად აეშენებინათ “ახალი მსოფლიო წესრიგი”, უღმერთოდ, თავიანთ ნებაზე ...

...ისინი ღმერთს ეწინააღმდეგებიან, როცა ეროვნებას ებრძვიან და “ახალ მსოფლიო წესრიგს” ამყარებენ უფლის ძველი, სამარადჟამო წესრიგის სანაცვლოდ. ურჯულოების მსაჯულთა ბრძოლა განსაკუთრებით გამძლავრდა ეკლესიათა ე.წ. განყოფის შემდეგ (XI საუკუნე), როცა დასავლეთის ეკლესია გამოეყო მართლმადიდებლურ ეკლესიას, რასაც მოჰყვა მათი მწვალებლობაში ჩავარდნა, რამეთუ სჯულის კანონის განსაზღვრებით “რომელი არა იყოს მართლმადიდებელ, მწვალებელ არს”. ე.წ. ჯვაროსნული ომებით, ქრისტეს საფლავის გათავისუფლების მიზეზით, გაძარცვეს უდიდესი მართლმადიდებლური სინმინდები და გააძლიერეს მასონური ორდენები. საქართველოს სამეფო და მისი ავტოკეფალია 1811 წელს სწორედ მასონურმა რუსეთის იმპერიამ გააუქმა, რომელიც პეტრე პირველის დროიდან დაექვემდებარა დასავლეთის მასონურ-პაპისტურ გავლენას და იმავე დროიდან დაიწყო ბრძოლა თვით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რუსი მორწმუნე ერის ქრისტიანული ტრადიციების წინააღმდეგ. ამის გამო რუსეთს სამართლიანი ღვთის რისხვა ეწია. მასონებმა რუსეთში მოაწყვეს რევოლუცია და 1917 წელს მისი სამეფო ხელისუფლებაც დაამხეს. ბოლშევიკები უსასტიკესი გამძვინვარებით ეკვეთნენ ქრისტეს ეკლესიას.

ამრიგად, თუკი 1801 წელს საქართველოში შემოვიდა და გაბატონდა ერთმორწმუნე რუსეთის ნიღაბს ამოფარებული მასონური იმპერია, ხოლო 1921 წელს ნიღაბჩამოსხნილი, მასონთა მიერ დაარსებული ათეისტური იმპერია, 1992 წლის იანვრიდან, ჩვენს ისტორიაში მესამე დიდი ტრაგიკული ნიშანსვეტის ეროვნული მთავრობის - გაძევების შემდეგ, მსოფლიო მასონურმა მოძრაობამ საქართველოში თანდათან გააბატონა თავისი მონა - მორჩილი ანტიქრისტეს შეგნებული და შეუგნებელი დამქაშები.

აღსრულდა ნეტარი ავგუსტინეს წინასწარმეტყველება: “მთავრობა სამართლიანობის გარეშე ავაზაკთა უბრალო ხროვანა.”

1992 წლის 14 აგვისტოს ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში ტრადიციული, მარიამობის მარხვა დაიწყო. ტაძრებში იდღესასწაულეს შემოყვანება პატიოსნისა ძელისა ცხოველსმყოფელისა ჯვრისა, მცირე აიაზმა აკურთხეს. წირვის შემდეგ ტაძრის შუაში პატიოსანი ჯვარი დააბრძანეს, მორწმუნენი ეამბორნენ მას და შეწვენა შესთხოვეს უფალს, რათა ღირსეულად გაეცლოთ მიძინების მარხვა... მავანმა კი ლოცვის მაგიერ ომი წამოიწყო, ომი, რომელმაც ათასობით ვაჟკაცი ჩააწვინა მინაში და 300000 ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად აქცია.

ძელიცხოველის ჯვრის შემოყვანების დღესასწაულზე დაიწყო ომი და ძელიცხოველის ჯვრის ამალღების დღესასწაულზე, 1993 წლის 27 სექტემბერს, დამთავრდა. ჩვენ შეურაცხველად ვვარი ცხოველსმყოფელი და ჯვრის ძალით ვიძლიენით, დავმარცხდით ..

...ქვეყანა დაღმართზე დაგორდა, ხოლო მისი თვითმარქვია ლიდერი, მასონების დახმარებით ტახტზე მყარად დაჯდა და ბოლშევიკების მსგავსად (მას მათი სკოლა საფუძვლიანად აქვს გავლილი) დაიწყო ქვეყნის განიავება...

...მისი უმრავლესობას სჯეროდა... დაუწოქეს კიდეც... პრეზიდენტადაც აირჩიეს, ხოლო მისი ნამდვილი სახე 2000 წელს დაინახეს ...

...დიდ მარხვაში საქართველოს მოსახლეობის სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები თუ ცოდვების მონანიებით იყვნენ დაკავებულნი და სინანულში ჩავარდნილები ღმერთს სამშობლოს გადარჩენას ევედრებოდნენ, “ მოქალაქეთა კავშირი ” და ანტიქრისტეს სხვა მოციქულები პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევას ზეიმობდნენ. ორი ათასი წლის 9 აპრილს სპექტაკლი სახელწოდებით “ საქართველოს

პრეზიდენტის არჩევნები” აბსოლუტურად დაცარიელებულ საარჩევნო უბნებში გაიმართა, სამაგიეროდ ქალაქებზე ყველაფერი ისე იყო დაფიქსირებული, როგორც ეს სამშობლოს მოღალატეებს აწყობდათ. არც არის გასაკვირი, ბოლშევიკ-კომუნისტებს ხომ ნებისმიერ გაყალბებაში ბადალი არ ჰყავდათ მსოფლიოში.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის ინაუგურაცია უნდა გამართულიყო არჩევნებიდან მესამე კვირას, რომელიც ემთხვეოდა უფალი იესო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს.

უფალი იესო ქრისტეს აღდგომის დღისა და პრეზიდენტის კონსტიტუციურად განსაზღვრული ინაუგურაციის დღის ასეთი გასაოცარი თანხვედრის ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ალბათ, ინაუგურაცია უნდა გადადებულიყო, თუნდაც რამდენიმე დღით. ასე მოიქცეოდა ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, რათა თავიდან აეცილებინა ქრისტესათვის თავის გატოლების ეს მკრეხელური შედარება. მაგრამ ყველაფერი ხდებოდა ისე, როგორც დაწერილია: “თავის ნებაზე მოიქცევა მეფე: ყველა ღმერთზე მეტად ამალდება, განდიდება და გასაკვირველს ილაპარაკებს ღმერთთა ღმერთის წინააღმდეგ და წარმატებული იქნება, ვიდრე რისხვა არ ამოიწურება, რადგან რაც გადანყვეტილია, უნდა აღსრულდეს”. (დან. 11,36) თვით ანტიქრისტეს უდიდესი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რეიგანმა 1985 წელს თავისი ინაუგურაცია ერთი დღით გადადო, რადგან იგი დაემთხვა ამერიკული ფეხბურთის აშშ-ს პირველობის ფინალურ მატჩს. მან ხალხის სურვილი წინ დააყენა და ის დღე არ გაუფერმკრთალა ამერიკელებს. გამოდის, რომ საქართველოს მაშინდელი ე.წ. პრეზიდენტი ანტიქრისტეს იერარქიულ კიბეზე უფრო მაღალ საფეხურს იკავებს. ასე რომ უფალი იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს 2000 წლის 30 აპრილს, მართლმადიდებლური საქართველოს უპირველეს ღვთის ტაძარში სვეტიცხოველში, მრავალ იქ მყოფთა შორის ორნი ისხდნენ მხოლოდ - პრეზიდენტი და მისი თავდაუზღოვანი მეუღლე. ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც დაწერილია: “...ღმერთის ტაძარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი, და ღმერთად მოგვაჩვენებს თავს” (II თეს. 2,4)



* * *

21-ე საუკუნის დასაწყისში მასონურმა ძალებმა სართიჭალის პოლიტიკურ მოძრაობაშიც შემოაღწია. 2003 წლის საპარლამენტო საარჩევნო კამპანიის დროს სოფლის ეკლესიის წინამძღვარს მოსთხოვეს, რომ პრეზიდენტის სროვის - “მოქალაქეთა კავშირის” სასარგებლოდ ამბიონიდან ექადაგა, რაზეც ცივი უარი მიიღეს. სხვა პასუხი არც შეიძლება ყოფილიყო ნათქვამი. პოლიტიკაში ჩაუვებლობის გამო, ბოლშევიკ - კომუნისტების ნაშვირებმა მეორე დღეს ეკლესიის ეზოდან მოიპარეს ზარი, რომლისთვისაც 12 წელიწადი ხელი არავის უხლია სასულიერო პირების გარდა (მაშინ ეკლესიის კარის შენგრევა “ურალით” “მოდაში” არ იყო). აი, ასე დაუფასეს ღვანლი მოძღვარს, რომელიც თხუთმეტი წელიწადი დღე და ღამ ლოცულობდა სოფლისათვის - “ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკვიდრებელსა შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდაი შენი...” (ფსალ.78.1)

რას იზამ, ადამიანები, რომლებიც თანამდებობის შენარჩუნებასა თუ მოპოვებას ყველაფრის ფასად ცდილობენ, მატერიალისტები არიან. ვინროა მათი აზროვნების ჰორიზონტი. მათ არ სწამთ მარადისობა. სიცოცხლე მათთვის აქ, დედამიწაზე იწყება და აქვე მთავრდება. „რამეთუ ყოველნი თავთა თვისთა ეძიებენ და არა ქრისტე იესუსა“, (ფილიპელთა 2.21). მაშინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა: “ნეტავ შეიძლებოდეს ჩემი ჭკუა ამათ ვაჩუქო. ამ ჭკუით რომ შეხედავენ ცხოვრებას, მიხვდებიან, რომ ძალიან უბედურები არიან, შეეცოდებათ თავიანთი თავი. ისინი ემსგავსებიან სახარებისეულ უნაყოფო ლეღვის ხეს. ეს უნაყოფო ხე მრავალი ჩვენგანია, რომელნიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფალმა ზეციდან დედამიწაზე გადმონერგა, რათა ღვთის მოსაწონი საქმეები, ანუ ნაყოფი მოგვეწია. ზოგიერთები კი ნაცვლად ამისა, მხოლოდ უამრავი ფოთლით, ანუ მინიერი საზრუნავებით, ამქვეყნიური ინტერესებით, წარმავალი სიამოვნებებით შეიმოსნენ, რაც ამაოებაა ღვთის წინაშე”.

მამა შალვა ბრძენი და მაღლიანი მოძღვარი გახლდათ, ენით კურნავდა ხალხს. თუმცა ზოგიერთები თავიანთი ენით მისი მისამართით ცილისწამებას არ იშურებდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წუთისოფლისაგან ცილისწამება, დევნა, შეურაცხყოფა, დამცირება, აბუჩად აგდება და ა.შ. - ყოველივე ჭეშმარიტი მართლმადიდებლის ხვედრია ... ცილისწამება,

მოგეხსენებათ, პირდაპირ ეშმაკისეული საქმეა, რადგან ეშმაკის სახელი სწორედ “ცილისმწამებელს”, “მაცდურს”, “დამსმენელს” ნიშნავს... მამაო ყოველივე ამას დუმილით პასუხობდა და ყველა მის შეურაცხყოფელზე ლოცულობდა. იგი კარგად აცნობიერებდა წმიდა სერაფიმე საროველის სიტყვებს: “მდუმარება ერთ-ერთი საუკეთესო იარაღია სატანასთან საბრძოლველად”. მამაოს ბევრჯერ ატკინეს გული. სიკვდილამდე სამი თვით ადრე კი თავზარდამცემი ამბავი დამართეს, რამაც მისი ჯანმრთელობა საბოლოოდ შეარყია. სართიჭალაში მცირე ხნით საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუმრობდა, რის შესახებაც სოფლის ეკლესიის წინამძღვარი არ ჩააყენეს საქმის კურსში. დაღონებულმა და ერთიანად გაფითრებულმა მამა შალვამ მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა: “რას იტყვის უწმიდესი, ამ სოფელს მოძღვარი არა ჰყავსო?!” აქ მეც ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ, მოვიშველიებ მხოლოდ გალაკტიონის სიტყვებს, რომელიც მან სიკვდილამდე ორი წლით ადრე წარმოთქვა:

“გრიალი გააქვს მსოფლიო ორკესტრს,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა,
უნდობელია მისი გენია,
არც შებრალება, არც შეცოდება!
ჯერ დედამიწას არ მოსმენია
მსოფლიო ბაგეთ ასე გოდება!”

არც გარდაცვალების შემდეგ მოასვენეს მისი სული. ზოგიერთმა ე.წ. საეკლესიო პირებმა თავიანთი ჭკუით შენიშვნები გამოთქვეს მისი საეკლესიო მსახურების ჩატარების თაობაზე. რომ მამა შალვა საპატრიარქოს მიერ დაწესებულ ტიბიკონს არღვევდა, ხშირად ატარებდა ღამის ლოცვებს, წირვის დამთავრების შემდეგ კითხულობდა პარაკლისებს და ა.შ. აქ მახსენდება ერთი ჭკვიანი კაცის

სიტყვები: “საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომლის ავტორიტეტი განუზომელი და შეუფასებელია, ბნელი ძალების და თეთრი სამღვდლოების ზოგიერთი “ახლადგამომცხვარი” მღვდლებისგან უნდა გაიწმინდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესია დაემსგავსება სახელოსნოებს, როგორც ეს მე-19 საუკუნის რუსეთში იყო.” „...რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.” (მათე 7.15)

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს „ცხვრის ტყავში“ გახვეული „მგლების“ თარეში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სამშობლო უფსკრულში გადაიჩეხება.

მიუხედავად ასეთი ზენოლისა, მამა შალვა განაგრძობდა თავის საქმიანობას. იგი სიცოცხლის ბოლო თვეების განმავლობაში ძალიან იყო შენუხებული საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო. ხშირად ვსაუბრობდით აფხაზეთის, სამაჩაბლოს და სამცხე-ჯავახეთის შესახებ. ერთხელ მითხრა:

- შვილო, ეს ჩვენი მთავრობა ამერიკელების იმედზეა და იმას კი არ ფიქრობენ, რომ ისინი ჩვენს ქვეყანას არასდროს არ გაამთლიანებენ, რადგან მართლმადიდებლობის მტრები არიან. ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ. მე რაც შემიძლია ვლოცულობ და ვევედრები უფალს, რომ გადმოგვხედოს და დაგვენმაროს, - შემდეგ რვეული გადმომცა და მითხრა, - ეს ჩემი ლექსია. უფლის დავალებით ვევედრები წმიდა ვლადიმირს, რომ დაეხმაროს საქართველოს. დავით აღმაშენებელმა ხომ თავის დროზე კიევი იხსნა ყივჩაღებისგან. ახლა ჩვენ გვჭირდება დახმარება. ვასრულებ მამა შალვას თხოვნას და მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს მისი შემოქმედების კანასკნელი ნაწარმოები, რომლის გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება მოძღვარმა თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში მომანიჭა:

გვიშუამდგომლე დიდო ვლადიმირ, დიდო მეფეო, კიევის რუსო

ქრისტემიერი ძმობა გვექონია, დავითის დროის, რუსთ და ქართველებს, მანამდეც თურმე ერთად ვებრძოდით, ქართველების და რუსთა მძარცველებს, ძველ სამხახლო და სანათესაო, სიყვარულს ქვეყნად რა დააძველებს, მტერი იცინის უბრად რომ გვხედავს, ძველ მძახლებსა და ძმებს ძველისძველებს.

მოსკოვის რუსი მეფე, ვლადიმირ, ჯობია ბრძნულად შენ დაარიგო, უხსოვარ დროდან არავის ახსოვს, ჩვენი მტრობა და საქმე ურიგო, თუ ადრე ღვიძლი ძმები ვიყავით, ახლა შენც ძმურად უნდა გაგვიგო კეთილგანწყობილ შუამავლობით, მოსკოვის რუსთან უნდ შეგვარიგო.

რუსს და ქართველებს ერთი მტერი გვყავს, მტერი გვყავდა და გვყავს საერთო რა დღეში გვაგდებს მოსკოვის რუსი, რა დავუშავეთ, მაღალო ღმერთო, ძმას ძმის მტრობისთვის ღმერთი წაგვწყმიდავს, განა მსურს ფუჭი ლექსით გავერთო, ისევ ძმურად გთხოვ გვიშუამდგომლო, მოსკოვის რუსთან უნდ შეგვეართო.

მე რუსი ერის მტრობა არ მინდა, და არც მაცოცხლოს ღმერთმა ურუსოდ, დიდო ვლადიმირ, ჰკითხე მოსკოველს, რატომ გვექცევა მთლად უნამუსოდ, ქრისტესმიერი ძმობის ვენახი, რად უნდ გადავწვათ და გადავტრუსოთ, არა სჯობია ძველებურ ძმურად, ვიშრომით ძმებმა და ვიფუსფუსოთ?

იყო, როდესაც ყივჩაღებისგან, კიევისა და ჰქონდა შევიწროვება, ქართველი ერი თქვენს გვერდში იყო, სამტროდ შესცვალეს სამო დროება, კიევის მტრები ჩვენ მოვიზიდეთ, რომ გვექონდა ძმური გარემოება, რითაც საერთო ჩვენს მტრების გულს დარდი ათასგზის მეტი მოება.


სამას ათასი მკვიდრი ქართველი რუსმა დაგვტოვა მთლად უსახლკარო, საკუთარ სახლში რუსი არ გვიშვებს, ეს საღვთო საქმე უნდ მოაგვარო, შენ დაგვრჩი მხოლოდ ერთი იმედი, ძველო მძახალო და მეგობარო, ქართველი ერის სანათესაო, ბრძოლაში გმირო, გულმკლავ მაგარო.

უფალი გვიტოვს ერებს სიყვარულს, არ თუ ძლიერმა სუსტები ჩაგროს, მართალი რწმენის მქონე ქართველი მორწმუნე რუსმა უნდ გაამაგროს, თუ რუსს არ უნდა უფლის რისხვა და თუ რუსს არ უნდა მტერი ახაროს, ქრისტეს ალამი საქართველოში არ უნდა დანვას, არ უნდ დახაროს.

ჭკვიან მოსკოვის თავკაცთ სამხრეთში სუსტი ქართველი როდი სჭირდება, გაეცინება, მაგრამ სამხრეთით, რუსს უქართველოდ გაუჭირდება, ვითარცა უყვართ რუსთ კუტუზოვი, ან სხვა გმირები, ან გაგარინი, უნდა უყვარდეს ქართველი ერი, ბაგრატიონი, დიდი სტალინი.



ეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა),
დეკანოზი შალვა (შუბითიძე),
ეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე)



გარეჯის უდაბნოს მონასტერი. ნათელი.



მამა შალვას სულიერი შვილები:
სქემმღვდელმონაზონი სერაპიონი (ნიკლაური)
და მღვდელი მირიანი (კოტორაშვილი)



მამა შალვას სულიერი შვილი
ბერდიაკონი იოსები (კარელიძე)

მამა შალვას სულიერი მოძღვრის მიტროპოლიტ ზოსიმეს (შოიშვილი) მიერ პანაშვიდის ჩატარების დროს ცხედარს ნათელი დაადგა.







მწერალთა კავშირში



მწერალთა კავშირში



ლიტანოზისას



მამა შალას მრევლი წილკანში

მე შეგახსენებ, ზოგ ამპარტავანს, ვისაც არ ვყოფნით ჩვენ სასაცილოდ, დიდ სამამულოს ვერ მოიგებდით, უქართველოდ და უდიდსტალინოდ, გმირებს გმირობას ვერვინ წაგვართმევთ, რაც უნდა ბევრი მოვიწადინოთ, თუ ძველი გმირი წამოიჩოქებს, არ მოვკლათ, ცრემლი არ უნდ ვადინოთ.

ამპარტავნებმა უნდა ვიცოდეთ, სამოთხის კარებს არვინ გაგვიღებს, და თუ არ ვცდები, თქვენი მოსკოვიც, მონღოლთა ურდომ ორჯერ აიღეს, რამდენჯერ სცადეს ჩვენი მოსპობა, მგონი ვერავინ დაათარიღებს, ნეტავ რას გვერჩის, რა დაუშავეთ, რუსი ჩვენ თხოვნას ყურად არ იღებს.

თუ რუსთ მთავრობას ოდნავ სწამს ღმერთი, ჩვენს ძმობას ვერა, ვერ დააშორებს, უღვთოდ იქცევა, სხვას რომ გვიმხედრებს და რომ ავრცელებს ჩვენს მიმართ ჭორებს, ატომის მქონე რუსი დიდკაცი თავისად სთვლიან ჩვენს მთებს და გორებს, მეზობელ ერებს მტრად შემოგვისევეს, ბოლოს იმათაც თვით მოაღორებს.

რუსეთის თავკაცთ ვემდური თორემ, რუსებს ფეხთ ვუფენ ვარდებს და იებს, დედა ღვთის წილხვედრ ერის დაჩაგვრას, ღმერთი არავის არ აპატიებს, რუსებს ძლიერ სურთ მოსპონ კავკასი, კავკასი მაინც იკავკასიებს, გამჩენი ღმერთის ბეჭდის გარეშე ვერ მიგვანერავს მკვდარ ერთა სიებს.

მოსკოვის რუსთა თავკაცნო, გეტყვით, არა მაქვს თქვენთან სხვა საჩივარი, ამპარტავნების სენი შეგყრიათ, პირველი ცოდვის რუსთ სატიკივარი, სჯობია ერთურთს ძმურად გაუგოთ, ხარობდეს რუსთა და ქართველთ გვარი, მოკვდება ჩვენი საერთო მტერი, ჩვენს მტრებს მოხვდება ჩვენი ლახვარი.

რუსთა მთავრობას, ჩვენი ქვეყანა, სურს რომ დატოვოს უგმირქართველოდ, სადღაც ვილაცის შიში მაინც გაქვთ, თორემ გინდათ რომ დღესვე გაგვთელოთ, შენ დაგვიფარე მამაო ღმერთო, და ანგელოზნო კაცთ მოდგმის მცველო, გაქებდეს შენი მართალი ერი, ქრისტეს მხედარი მხნე სასახელო.

მე ასე ვფიქრობ, ჩვენს შორს სამხრეთით, რაღაც გლობალურ ომს თუ მოელით, ჩვენი მიწები იმისთვის გინდათ, რომ გქონდეთ ჩვენთან ეს ბრძოლის ველი, სანამ რუსეთში შემოაღწევინ, ჩვენ ერთან ჩვენიც მოსპოთ ყოველი, მაგრამ რა იცით, ღმერთი რას ფიქრობს, არ მიგვატოვებს ჩვენ ღვთისმშობელი..

ამპარტავნებთან ბოდიშს მოვიხდი, მართალი კაცი სძულთ ამპარტავნებს, ისიც ეყოფათ ეშმას მეგობრებს, რაც ჯოჯოხეთში ეშმა მათ ავნებს, ნეტავ სად მიჰყავთ უღვთო თავკაცნი, ამ უღვთოების ქარებს, ქარავნებს, თუ დაგვიბრუნებთ საკუთარ სახლ-კარს, ღმერთი შეგინდობთ მავანთ-მავანებს.

ისევ ვურჩევდი რუსთა თავკაცებს, რომ ჩემი რჩევა გამოიყენონ, თვითონ რომ ასცდნენ ცეცხლის გენას, აქ კიდევ მათგან ჩვენ დავისვენოთ, ჭკუას მოეგონ, ვინც სახლს გვართმევს და ლტოლვილად გვყოფს და გვწყვეტს და გვაობლებს, მაინც ვიტყოდი, ღმერთმა შეუნდოს ამ ღვთის მგომბელებს, ეშმას მგალობლებს.

მისი მრცხვენია, ვინც გვანადგურებს, იმას ვუნოდებთ რაზმს სამშვიდობოს, ას ათასობით ვინც ლტოლვილად გვყოფს, ფიქრობთ მსგავს მტერსა წინ გადელიბოს, ვინც მელას ქათმის მცველად დანიშნავს, მას და მის მოდგმას ღმერთი ეომოს, ქართველთა ტანჯვით ღვთის რისხვით მოსვლა, ყველას ვურჩევდი, რომ განეზომოს.

ნურც ის გგონიათ, ეს ინერება მთლად შერყეული კაცის გონებით, გმირი ქართველის გვარი და ტომი ყველა სულელი ნუ გეგონებით, იდიდოს წმინდა სამების მადლმა, ვისაც ვმორჩილობთ და ვემონებით, ღვთის რისხვის მოსვლას რად აჩქარებენ, ეშმაკის ძმობით თავმომნონები.

გმირო ვლადიმირ, მოსკოვის თავნი რა დღეში გვყრიან, შენ თვითონ ხედავ, რუსეთის მეფე ხარ და იქნები, გმირო ვლადიმირ, ვინც ძმობას ჭედავ, როგორც შენ იტყვი, ისე იქნება, მოსკოვის მეფე რას გაგიბედავს, უთხარ, ვლადიმირ, მოსკოვის მეფეს, ლტოლვილთა ცოდავს თავს ნუ იქედავს, როგორ გაუძლებს უფლის სამსჯავროს, როს ღმერთი რისხვით გადმოიხედავს, შენ და დავითი ძმები რომ ხაართ, შენს შენუხებას, ვაი, ვინ ბედავს, დღეს ვინც ქართველთა ჩაგვრით ამაყობს, ვაი იმ ჯოჯოხეთს ვაი იმ ბედავს.

გული კი მაინც მისთვის მიკვდება, რუს თავკაცებთან ენა ვერ ვნახეთ, თუმცა მრავალჯერ მათთან საერთო ენის პოვნის გზა კი დავისახეთ, რუს თავკაცებთან ძმობის საკითხზე პასუხი იყო მუდამაც მკვახედ, ას ათასობით ქართველთ დარბევით, რუსნო თავკაცნო, ვითომ რა ნახეთ?!

უფალი დაგსჯის, ვერაგულ მტრობით, ქართველთ სამარე რად უნდ უთხარო, უნდა ვცდილობდეთ ძმურ სიყვარულით, უფალსა გული რომ გაეუხაროთ, ჩვენც ვტყუით, ერის საქმე ითხოვს, მძლავრსა კისერი უნდ მოუხარო, თუ რომ ატყობ დათვი გკლავს და გერევა, სჯობია, ისევ ბაბა უთხარო.

თუ ჩვენი ჩაგვრა გაგრძელდა თქვენგან, ღმერთი საქმეში თვით ჩაერევა, ატომურ დროში ომის თამაშით ვერვინ ვერავის ვერ მოერევა, რუსთა თავკაცნო, კარგს არას მოგცემთ, ქართველთ სახლ-კარის დანვა, დანგრევა, მართალ ქართველთა მტანჯველს ესმოდეს, საქმე საშინლად რომ აერევა.

პირველ მომაკვდენ ცოდვას თუ დათმობთ, ნაღდად ცხონდებით, ამპარტავანნო, იგივე ცეცხლით, ჩვენ რომ გვიკიდებთ, ქარით, პირქარით თავსაც არ ავნოთ, უფლის მიერი სიყვარული სჯობს, უფალს რადა გმობთ, მოსკოვის თავნო, მე რუსი ხალხის ძმობა მინდა და ეს ლექსიც რუსეთს მსურს რომ გავაგზავნო.

თვითონვე უფლის ნაბრძანებია: ქედმაღლებს მოდრეკს და დაამდაბლებს, სიმართლისათვის ჩაგრულ თავმდაბალს, ზეცას აიყვანს და აამაღლებს. მოსკოვის თავნო, დღეს რომ დაგვჩაგრავთ, ქართველი ერი არა ვართ ღირსი, დავითი გვეტყვის: “ხმობდეს მართალი, უფალმან ღმერთმა ისმინოს მისი”.

კიევის მეფევე, დიდო ვლადიმირ, შემინდევ, მე დღეს შენ რომ განუხებ, მოსკოვის რუსი სახლ-კარს რომ გიწინავს, თავზე მესხა და რისხვას გვაქუხებს, ჩვენი ხსნა ახლა მხოლოდ შენშია, ჩვენი სახლ-კარი უნდ დაგიბრუნო, ქართველი ერის სანათესაო, ჩვენს ჩაგრულ ერზე შენ უნდ იზრუნო.

სამას ათასი კაცი დაგვტოვა რუსმა უსახლოდ მთლად უმინანყლოთ, მოსკოვის თავნო, მსწრაფლ შეინანეთ, კბილთ მღრჭენ ტირილით სანამ უნდ გაძლოთ, თორემ იქ ღმერთი არ შეგიბრალებთ, რაც უნდ იტიროთ, თავი ისანყლოთ, ზოგ-ზოგმა ვინც ხართ, კარგა არც იცით, მე რომ გაცნობებთ, ღმერთს უნდ უმადლოთ.

საქმე იმითი როდი მთავრდება, თქვენ ჯოჯოხეთში ტანჯვა რომ გელით, თქვენს ბედსა ყველა გაიზიარებს, ჩვენი ტანჯვისა მტკერი ყოველი, სიტყვით და საქმით შველა კი ძალუძს, ეშმაკს უსმენს და ჩვენ არა გეშველის, თუ ქრისტესმიერ სიყვარულში ხართ, რად თქვენც არ სტირით, ვით მე თვალ სველი.

წმინდა მამათა თქმული სიტყვაა, თუ ვინმე მეფეს ცხადად აგინებს, ღვთისა ცხებულის გინებისათვის, მეფე უწყალოდ მას მოაკვდინებს, მაგრამ მოწმესაც ციხეში სვამენ, თუ მგმობს არ სცემს და არ შეაშინებს, ღვთის მგმობსა მოწმე თუ არ გაუწყრა, ღმერთი მოწმესაც მგმობლად ადგინებს.

მოწმე თავხედი, თავს კი იმართლებს, ციხეს რად სვამენ რა დააშავა, მსაჯული ეტყვის: რად იცინოდი, მგმობი ლანძლავდა მეფესა ავად, შენც მლანძღველი ხარ, მოწმე თავხედო, მეფის წინაშე ჩანხარ პირშავად, მეფეს ლანძლავდნენ, შენ კი რამ ღონე, რად არ იხმარე მის დასაცავად.

ამას რომ ვამბობ, ნუკი იფიქრებთ, რომ რუსზე აღვიძრავ ვინმეს საომრად, პატიოსანმა რუსმაც უნდა სთქვას, რად ვტანჯავთ ქართველთ მთლად განუზომლად, რად ვერეკებით ალალ-მართალ ხალხს ციცაბო კლდეზე გადასახტომად, ყველა კეთილ რუსს ღმერთი დალოცავს, ვინც ქართველთ უტკერს ძმად და მეგობრად.

საკუთარ სახლში შესვლას ნატრულობს, აეტის მოდგმა, გმირი კოლხეთი, უკოლხებოდ და უაფხაზებოდ რუსებს რომ უნდათ დღეს აფხაზეთი, რა დღეში ვყავართ დღეს რუსთ მთავრობას, აბა, ეს იყოს სამხრეთ სლავეთი, სუყველა იმას წაესეოდა, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი.

მართალი არის, რუსეთის შიშით, ყველანი დუმილს რომ ამჯობინებს, მართალი კაცის მტანჯველის მცქერი, უფალს უშვერად გმობს და აგინებს, მტანჯველს არ ეტყვის, რად ტანჯავ ამ კაცს, თუ უღვთოს რისხვა მასაც აშინებს, მასაც მოელის ცეცხლის გეენა, ეშმასგან გვემა არ დააძინებს.

ვიცი ყაჩაღი ყაჩაღი არის, იმას არავინ არ ეცოდება, თუ რამ სახლში გაქვს, არას შეგარჩენს, არაფრად უღირს შენი გოდება, სასწრაფოდ გტოვებს და იმალება, ფიქრობს, ხიფათი რომ ელოდება, სახლ-კარსაც გინვავეს, ნეტავ რა ჰქვია, ყაჩაღზე დიდი წოდება ხომ აქვს.

სამყარო ისევ ცოდვის ზღვაშია, ცოდვები ცოდვებს კვლავ ემატება, არა სჩანს ყაჩაღთ რამ სინანული, უღვთო ცოდვების რამ შემჩატება, და თუ კვლავ ნოეს დონეზე დადგა ეს კაცთა მოდგმა, ღვთისა ხატება, ქართველი ერის ასეთი ტანჯვით, ეშმას ეძლევა მთლად წარმატება.

დაგვჯით მოსკოვის რუსთა თავკაცნო, ქართველთა მიმართ მუშტზე ყურება, ეს არის ღვთისა ბილწი გინება, ეშმას ერთგული მომსახურება, არ ღირს ქართველთა ასეთი ტანჯვით მუდამ ეშმაკთან დასადგურება, ვისაც ყური აქვს, ისმენს ღვთის სიტყვას, ვისაც სმენა აქვს და ეყურება.

რატომ წაგვეგლეჯავთ საკუთარ სახლ-კარს, დიდი გაქვთ, რუსნო, თქვენ სამფლობელო, თუ კაცსა ღვთისა შიში არა აქვს, იმ საწყალს მაშინ რით უნდ უშველო, ვიცით, რუსებო, თქვენი ფიქრები, საჯოჯოხეთო, ეშმას საგველო, უქართველებოდ, ღმერთის გინებით, გინდათ ხელთ გქონდეთ თქვენ საქართველო.

რუსებთან ერთად ომში ვიბრძოდით, დღეს ვინ იგონებს მათ სახელ-გვარებს, ექვსას ათასი რუსთათვის განწყდით, დღეს რუსთ მთავრობა როგორ გვამწარებს, რუს ერის ერთგულ მეგობრობისთვის, რუსთ მტერი რუსეთს რომ გვასამარებს, დღეს თვითონ უნდათ ჩვენი განწყვეტა, ჩვენს თხოვნას ახლო რომ არ იკარებს.

სტალინის ნიჭი, პეტრეს გამირობა დღეს მთელ მსოფლიოს მოეხსენება, რუსთა მთავრობას, სულაც არა სურს, სტალინისა და პეტრეს ხსენება, დღეს კი სტალინი, ბაგრატიონი რუსთა მთავრობას მტრად ეჩვენება, ნეტავ რას აძლევს რუსთა მთავრობას ქართველთა მტრობით დღეთა თენება.

დიდო ვლადიმირ, ისევ განუხებს მეფე დავითი ჩვენს ძველ ძმას ძმურად, უნდ შეგვარიგო მოსკოვთან ძმები, ნუ ხდიან საქმეს მთლად მოსამდურად, მუდამ ერთგული ძმები ვიყავით, ჩაგვთვალონ ძმებმა ძმურ ნამსახურად, რომ დაგვიბრუნონ ჩვენი სახლ-კარი, ნუ ეყოლებათ ეშმაკნი მდგმურად.

ეს იყო ბოლო ნაშრომი სამშობლოსათვის დაუღალავი შემოქმედისა, მოძღვრისა რომელიც თავისი გასაოცარი თავმდაბლობით შესანიშნავი მაგალითი გახლდათ იმ იშვიათი ქართველისა, რომელსაც გულთან მიჰქონდა თავისი ქვეყნის გასაჭირი. დღე და ღამე ლოცულობდა ერისა და ქვეყნის გადარჩენისათვის. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ჩვენი სამშობლოს შესახებ, რა გზა უნდა მოძებნილიყო ამქვეყნად მისი გადარჩენისათვის. თუმცა ეს გზა წმინდა ილია მართალმა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაგვანახა. როგორც ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: “მე არ ვიცი, ჩვენ წინ ნავედით თუ უკან ილიას შემდეგ, ამაზე სხვებმა თქვან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტორიალებდა თავზე დღენიდადგ. და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხვევსთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე, მან ყველაზე უკულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყჩოსავით სულ მალე, მეორე - მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს ბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში:

“ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო!”

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგს: ილია-მოსე: აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა...”

* * *

ხშირად მეკითხებიან ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ქალაქების თუ სოფლების ეკლესიათა მრევლის წევრები: “რატომ არ გამოარჩია მამა შალვამ თავისი სულიერი შვილებიდან თავისივე საქმის გამაგრებელი, რომელიც აღავლენდა წირვა-ლოცვას მის მიერ აშენებულ სართიჭალის მთავარანგელოზთა ეკლესიაში?” ხუთნობიანი დუმისის შემდეგ ვაქვეყნებთ მამა შალვას ანდერძს, სადაც ყველაფერია ნათქვამი:

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, უწმინდესსა
და უნეტარესს ილია მეორეს**

თქვენო უწმინდესობავ,

უმორჩილესად გთხოვთ შეისმინოთ ჩემი ვედრება და მიკუთხოთ ჯერ დიაკვნად და თუ შესაძლებელია მერე მღვდლად მონა ღვთისა გიორგი (წიკლაური). წარმოშობით ის დუშეთის რაიონიდანაა, გუდამაყრიდან, დაიბადა და გაიზარდა თბილისში, 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია - გეოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით “გეოფიზიკა”.

2001 წელს ვაკურთხე მედავითნედ და მას მერე წირვა-ლოცვა არ გაუცდენია. სულ გვერდში მიდგას. დამიჯერეთ თქვენო უწმინდესობავ, მასზე კარგად ამ სოფელში ღმერთს არავინ არ განადიდებს. დღე-და-ღამ ლოცულობს და ერთგულად ემსახურება ეკლესიას (ხაზგასმა ჩემია ი. ს.)

ბოდიშს ვიხდი კადნიერებისათვის და გთხოვთ ნუ უგულბებელყოფთ ჩემს თხოვნას. მხოლოდ კვერექსების გაზეპირება დასჭირდება. მე ამ დღეს სარეცელზე ვარ მიჯაჭვული და არ შემიძლია პირადად მოვიდე და გთხოვოთ, ამიტომ ჩემს თხოვნას წერილის სახით გადმოგცემთ.

კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, შეისმინოთ ჩემი ვედრება.

პატივისცემით, თქვენი მონა-მორჩილი სართიჭალის

მთავარანგელოზთა ეკლესიის მოძღვარი

მამა შალვა.

2006 წლის 18 ნოემბერი.

პატრიარქთან შეხვედრას თქვენი მონა-მორჩილიც ესწრებოდა.
ანდერძი წაიკითხა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა
(იმ დროს მთავარეპისკოპოსმა) მეუფე თადეოზმა (იორამაშვილი).
უნმინდესმა წარმოსთქვა: „შევუსრულოთ მამა შალვას ანდერძი“.
მაგრამ.

„ვისაც ყური აქვს, ისმინოს... ”
(გამოცხ. 13. 9)

„ხოლო ვისაც არ ესმის, დაე, ნუ ესმის.”
(1 კორ. 14. 38)

გიორგობის თვე 2011 წელი



დასაფლავებისას მამა შალვას
ცხედარს ნათელი დაადგა



„ერთი ღმერთია უკვდავი, ძე მისი ჩვენთვის ტანჯული,
და სული ღვთისა ძლიერი, მართალი რწმენა და რჯული,
ისევე მოვა უფალი, ის შეუმცდარი მსაჯული,
სამება ღმერთსა ვაქებდეთ, ვინც არ ვართ გადაქაჯული“.

მამა შალვა (გოლისელი)



„თუ კაცს ღმერთის შიში არ აქვს, პირუტყვია სასაზიდრე,
რაც უნდ უხვად ოქრო ჰქონდეს, ეშმას რჩება ის სიმდიდრე,
ღმერთის შიშში უნდ გამდიდრდე, ცოცხალი ხარ კაცი ვიდრე,
ღვთის შიშითა მარხვა-ლოცვით, გიჯობს ღმერთთან დაემკვიდრე.“

მამა შალვა (გოლისელი)

ISBN 978-9941-0-3804-4

© იოსებ სიბოშვილი: